

განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე
„აღსრულების კოდექსი“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი

კანონპროექტის შემუშავება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ 1999 წლის 16 აპრილს მიღებული „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი მოძველებულია და ვეღარ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს. აღსრულების სფეროში არ არსებობს ერთიანი, სისტემატიზებული სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც დაფუძნებული იქნება სამართლიანობის, პროპორციულობის და ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპებზე. კანონში არასრულყოფილად არის ასახული სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე პირთა უფლება-მოვალეობები, ვალდებულებათა შეუსრულებლობაზე პასუხისმგებლობა, აღსრულების ცალკეული სპეციფიური წესები, მხარეთათვის დოკუმენტაციის ჩაბარებისა და შეტყობინების წესები. გარდა ამისა, არსებობს სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული მრავალი პრაქტიკული სახიათის პრობლემა, ხოლო კანონში წლების მანძილზე შეტანილი ცვლილებების სიმრავლის გამო გართულებულია კანონის და მისი შინაარსის აღქმადობა; კანონმა დაკარგა ფორმა და სტრუქტურა, რაც ართულებს მის გამოყენებას როგორც აღმასრულებლების, ისე სააღსრულებო წარმოების მხარეთა მიერ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კანონპროექტის მომზადების ერთ-ერთ ძირითად მიზეზს აღსრულების დღეს მოქმედი შერეული სისტემის (ორგანიზაციული მოწყობის) არაეფექტიანობა წარმოადგენს. არსებული სისტემის მიხედვით, აღსრულების ქვემდებარე აქტების აღსრულების კომპეტენცია, როგორც სახელმწიფო ორგანოს - იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიული პირს - აღსრულების ეროვნულ ბიუროს, ისე კერძო აღმასრულებლებს გააჩნიათ.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოქმედი კანონმდებლობით აღსრულების ეროვნული ბიურო, როგორც აღსრულების ქვემდებარე აქტების აღსრულების სახელმწიფო ორგანო, ვალდებულია წარმოებაში მიიღოს და შესაბამისი სააღსრულებო მოქმედებები განახორციელოს *ყველა ტიპისა თუ კატეგორიის საქმეებზე*, განსხვავებით კერძო აღმასრულებლისაგან, რომელიც არ არის ამგვარი ვალდებულებით შებოჭილი, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ კერძო აღმასრულებელი, ისევე როგორც აღსრულების ეროვნული ბიურო, სააღსრულებო საქმიანობის სახით საჯარო უფლებამოსილებას ახორციელებს.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კერძო აღმასრულებლის მიერ აღსრულება ხორციელდება კრედიტორის მიმართვისა და მასთან დადებული ხელშეკრულების

საფუძველზე, რაც, თავის მხრივ, იძლევა კერძო აღმასრულებლის მიერ სააღსრულებლო საქმიანობის საკუთარი შეხედულებისამებრ განხორციელების შესაძლებლობას. კერძო აღმასრულებლის მიერ შერჩევითი პრინციპის გამოყენებით სააღსრულებო წარმოების განხორციელება შეუთავსებელია საჯარო უფლებამოსილების - სააღსრულებო საქმიანობის - არსთან.

ამდენად, აღსრულების კოდექსის პროექტის შექმნის მთავარი მიზეზი გახდა აღსრულების სფეროში ერთიანი, სისტემატიზებული სამართლებრივი დოკუმენტის - კოდექსის არარსებობა და ე.წ. შერეული სისტემის გამთლიანების აუცილებლობა.

აღსრულების სისტემის მოწყობის საკითხზე საზღვარგარეთის ქვეყნების მიდგომებისა და გამოცდილების გაცნობაც მნიშვნელოვანია.

- *ლიეტუვაში* კერძო აღსრულების სისტემა მოქმედებს. აღმასრულებლები ინიშნებიან და თავისუფლდებიან იუსტიციის მინისტრის მიერ. ისინი მოქმედებენ ტერიტორიულ პრინციპზე დაყრდნობით. კერძო აღმასრულებლებს აქვთ საქმეთა მიღების ვალდებულება. სულ არსებობს 17 ტერიტორიული ერთეული, რომლის ფარგლებშიც აღმასრულებელთა უფლებამოსილებები ვრცელდება. ლიეტუვაში 116 აღმასრულებელია. აღმასრულებელთა ოფისები (97) და მათი ფილიალები (32) მოქმედებენ სხვადასხვა ქალაქებსა და რეგიონულ ცენტრებში. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ საქმეების აღსრულების ვალდებულებაც კერძო აღმასრულებლებს აქვთ. ლიეტუვაში მოქმედებს აღმასრულებელთა პალატა, რომელიც კერძო აღმასრულებლებს შორის საქმეთა პროპორციულ განაწილებას უზრუნველყოფს.

- *ლატვიაში* 2003 წლიდან მოქმედებს კერძო აღსრულების სისტემა. კერძო აღმასრულებლები ინიშნებიან იუსტიციის მინისტრის მიერ და საქმიანობას ახორციელებენ მკაცრად გაწერილ დისციპლინური და პროფესიული სტანდარტების დაცვით. იმისთვის, რომ პირი დაინიშნოს კერძო აღმასრულებლად, სხვა მოთხოვნებთან ერთად, მას გავლილი უნდა ჰქონდეს აღმასრულებლის ორწლიანი ტრენინგი, ან ჰქონდეს იურისტად მუშაობის ხუთწლიანი სტაჟი. ტერიტორიულობის პრინციპი მოქმედებს ლატვიაშიც. აღმასრულებლები მიმაგრებული არიან ხუთიდან ერთ-ერთ რეგიონალურ სასამართლოს და მათი უფლებამოსილება განისაზღვრება იმ იურისდიქციით, სადაც ისინი მოღვაწეობენ. ლატვიაში სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ აღსასრულებელ საქმეებს კერძო აღმასრულებლებთან თავად ადმინისტრაციული ორგანოები აგზავნიან.

- *ბელგიაში* კერძო აღმასრულებლის კომპეტენცია ასევე მკაცრად არის გაწერილი იმ რეგიონული იურისდიქციით, სადაც ის საქმიანობას ახორციელებს. ყველა კერძო აღმასრულებელი გაწევრიანებულია კერძო აღმასრულებელთა პალატაში, რომელიც აკონტროლებს კერძო აღმასრულებელთა საქმიანობას. იმისთვის, რომ პირი დაინიშნოს კერძო აღმასრულებლად, სხვა მოთხოვნებთან ერთად, მას გავლილი უნდა ჰქონდეს აღმასრულებლის ორწლიანი ტრენინგი და ჩაბარებული ჰქონდეს პროფესიული გამოცდა.

ამასთან, აღმასრულებელს არ აქვს უფლება, უარი თქვას რომელიმე საქმის აღსრულებაზე ნაკლებად მომგებიანობის ან რაიმე სხვა მიზეზით.

- *საფრანგეთში* კერძო აღმასრულებლები იუსტიციის მინისტრის მიერ ინიშნებიან და საქმიანობას ახორციელებენ მკაცრად გაწერილი დისციპლინური და პროფესიული სტანდარტების დაცვით. კერძო აღმასრულებლის უფლებამოსილება მკაცრად არის გაწერილი იმ რეგიონული იურისდიქციით, სადაც ისინი ახორციელებენ საქმიანობას. იმისთვის, რომ პირი დაინიშნოს კერძო აღმასრულებლად, სხვა მოთხოვნებთან ერთად, მას გავლილი უნდა ჰქონდეს აღმასრულებლის ორწლიანი ტრენინგი და ჩაბარებული ჰქონდეს პროფესიული გამოცდა.

- *ბულგარეთში* ორი პარალელური სააღსრულებო სისტემა მოქმედებს: კერძო და სახელმწიფო. კერძო აღმასრულებლების უფლებამოსილება განისაზღვრება იმ რეგიონული სასამართლოს იურისდიქციით, სადაც ისინი საქმიანობენ. იმისათვის, რომ პირი დაინიშნოს კერძო აღმასრულებლად, ის უნდა იყოს ბულგარეთის მოქალაქე, ფლობდეს ბაკალავრის ხარისხს სამართლის დარგში, ჰქონდეს იურისტად მუშაობის არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება, არ უნდა იყოს ნასამართლევ, შეჩერებული არ უნდა ჰქონდეს კერძო აღმასრულებლის სტატუსი, არ უნდა ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას და ჩაბარებული უნდა ჰქონდეს აღმასრულებლის გამოცდა. როგორც აღინიშნა ბულგარეთში სახელმწიფო აღმასრულებლის ინსტიტუტიც არსებობს, მაგრამ ისინი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან და აქტიურობით არ გამოირჩევიან, თუმცა, კერძო აღსრულების ალტერნატივად რჩებიან. ორივეს აქვს თანაბარი უფლებები, მცირე განსხვავებებით, თუმცა, ტარიფები აქვთ აბსოლუტურად იდენტური. რაც შეეხება სახელმწიფოს მიმართ არსებულ დავალიანებას, ამისთვის მოქმედებს აღმასრულებლის სპეციალური სახე - საჯარო აღსრულების ოფიცრები.

- *ჰოლანდიაში* კერძო აღმასრულებლები ინიშნებიან იუსტიციის მინისტრის მიერ. ისინი დამოუკიდებელი არიან და საქმიანობას ახორციელებენ მკაცრად გაწერილი დისციპლინური და პროფესიული სტანდარტების დაცვით. ჰოლანდიაში სულ 300 კერძო აღმასრულებლის პოზიციაა. კერძო აღმასრულებლის მონოპოლია მკაცრად დაცულია იმ რეგიონული იურისდიქციით, სადაც ისინი ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას. ყველა კერძო აღმასრულებელი გაწევრიანებულია ნიდერლანდების სამეფოს კერძო აღმასრულებლის პროფესიონალთა გაერთიანებაში, რომელიც ქალაქ ჰააგაში მდებარეობს. სამეფოს პროფესიონალთა გაერთიანება მკაცრად აკონტროლებს კერძო აღმასრულებელთა საქმიანობას. იმისთვის, რომ პირი დაინიშნოს კერძო აღმასრულებლად, ის უნდა იყოს ჰოლანდიის მოქალაქე, ჰქონდეს გამორჩეული მორალური თვისებები, ფლობდეს ბაკალავრის ხარისხს სამართლის დარგში, გავლილი ჰქონდეს აღმასრულებლის ოთხწლიანი ტრენინგი და იყოს კერძო აღმასრულებლის კანდიდატი მინიმუმ 2 წელი. როგორც აღინიშნა, ნიდერლანდების სამეფოში ყველა ტიპის საქმეთა აღსრულებაზე მონოპოლია კერძო აღმასრულებელს აქვს, მათ შორის, იმ საქმეებზე, სადაც მხარეს სახელმწიფო წარმოადგენს.

სახელმწიფო, როგორც წესი, აღსასრულებელ საქმეებზე არ იხდის წინასწარ საფასურს. კერძო კრედიტორების მიერ წარდგენილ მოთხოვნებზე დადგენილია წინასწარი საფასური, თუმცა, განსაკუთრებით შეჭირვებული კრედიტორებისთვის მოქმედებს შეღავათების სისტემა. აღმასრულებელთა საქმიანობის მონიტორინგი ხორციელდება როგორც აღმასრულებელთა პალატის მიერ, ისე სპეციალური სააგენტოს - ფინანსური ზედამხედველობის ბიუროს - საშუალებით. ბიურო თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და იუსტიციის სამინისტროს მიერ ფინანსდება. აღნიშნული სააგენტო ნოტარიუსების საქმიანობის ზედამხედველობასაც ახორციელებს. თითოეული აღმასრულებლის ოფისის ფინანსური აუდიტი და მათი საქმიანობის პროფესიულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება ხდება ორ წელიწადში ერთხელ. ფინანსური აუდიტი ხორციელდება გარე აუდიტორების მიერ, რასაც ორგანიზებას უწევს აღმასრულებელთა პალატა. კერძო აღმასრულებლებს დისციპლინურ პასუხისმგებლობას აკისრებს დისციპლინური საბჭო.

როგორც საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების ანალიზი ცხადყოფს, კერძო აღმასრულებლის მიერ საქმეთა მიღების ვალდებულება ყველა ზემოთ ჩამოთვლილ სახელმწიფოში არსებობს. ამასთან, კერძო აღმასრულებლები უფლებამოსილებას ახორციელებენ მხოლოდ გარკვეული ტერიტორიული იურისდიქციის ფარგლებში და არა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა

ზემოთხსენებული ვითარებიდან გამომდინარე, აუცილებელია აღსრულების სფეროში შეიქმნას ახალი, ერთიანი, სისტემატიზებული სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც გაიზიარებს საზღვარგარეთის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკასა და გამოცდილებას და შექმნის აღსრულების მოქნილ და ეფექტიან სისტემას, რომელიც სამართლიანობის, პროპორციულობის და ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპებზე იქნება დაფუძნებული.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები

კოდექსის მიღებით აღსრულების სფეროში შეიქმნება სისტემატიზებული საკანონმდებლო აქტი, რომლის მიზანიც იქნება აღსრულების ახალი, ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება, სააღსრულებო პროცესში მონაწილე პირთა უფლება-მოვალეობების გამიჯვნა და მკაფიოდ ფორმულირება, სააღსრულებო პროცესის გამარტივება, აგრეთვე როგორც აღსრულების პროცესში, ისე მის მიღმა არსებული სერვისების გაუმჯობესება და მომხმარებლისთვის ახალი სერვისების შეთავაზება.

კოდექსის მიღების შედეგად, აღსრულების პროცესში დაინერგება პროპორციულობის პრინციპი, რაც აღსასრულებელ მოთხოვნასთან მიმართებით განხორციელებული სააღსრულებო მოქმედებებისა და მათი მოცულობის პროპორციულობას გულისხმობს. გარდა ამისა, დაინერგება აღმასრულებელთა საქმიანობის ახალი სტანდარტები, რომლებიც უზრუნველყოფს კრედიტორთა ინტერესების დაცვას და შეამცირებს მოვალის უფლებათა ხელყოფის შესაძლებლობას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კოდექსის მიღებით საქართველოს სააღსრულებო კანონმდებლობა მაქსიმალურად ჰარმონიზებული იქნება ევროკავშირის ქვეყნების კანონმდებლობასთან, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებების, მათ შორის, საკუთრების უფლების, დაცვას და, ზოგადად, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტით წესრიგდება აღსასრულებელი დოკუმენტების აღსრულების პროცესი, განისაზღვრება საქართველოს აღმასრულებელთა პალატის მოწყობისა და საქმიანობის, აგრეთვე აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მომსახურების გაწევის წესი და პირობები.

უქმდება „აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებლისა“ და „კერძო აღმასრულებლის“ ინსტიტუტები და ყალიბდება აღსრულების სრულიად ახალი სისტემა. ამ სისტემის ერთ-ერთი კომპონენტია აღმასრულებელთა პალატა, რომლის შემადგენლობაში შედის ყველა აღმასრულებელი. რაც შეეხება ცალკეულ აღმასრულებლებს, მათ თანამდებობაზე დანიშვნასთან ერთად განესაზღვრებათ სამოქმედო ტერიტორია. შესაბამის სამოქმედო ტერიტორიაზე აღმასრულებელთა შორის აღსასრულებელი საქმეები *საქმეთა ავტომატური განაწილების ელექტრონული სისტემის მეშვეობით* გადანაწილდება. ახალი კოდექსის ამოქმედებიდან განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ კი აღმასრულებელი უფლებამოსილი იქნება, საქმეთა ავტომატური განაწილების ელექტრონული სისტემის მეშვეობით მიღებული საქმეების გარდა, კრედიტორის მომართვისა და მასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, სამოქმედო ტერიტორიის პრინციპის გათვალისწინების გარეშეც განახორციელოს სააღსრულებო საქმიანობა.

აღსრულების ეროვნული ბიურო შეინარჩუნებს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსს. მისი ძირითადი უფლებამოსილება იქნება აღმასრულებელთა საქმიანობაზე განახორციელოს მუდმივი დისციპლინური, ეკონომიკური და სამართლებრივი ზედამხედველობა, აღმასრულებელთა პალატისთვის/აღმასრულებლისთვის შესაბამისი საფასურის სანაცვლოდ, მიაწოდოს ყველა ის სერვისი, რომელიც აუცილებელია სააღსრულებო საქმიანობის შეუფერხებლად განსახორციელებლად.

- განახორციელოს სააუქციონო მომსახურება;
- პირის მიმართვის საფუძველზე განახორციელოს კოდექსის პროექტით დადგენილი შესაბამისი მომსახურება;
- გადახდისუნარიობის საქმის წარმოებისას შეასრულოს მეურვის ან/და გაკოტრების მმართველის ფუნქცია.

ინსპექტორი

აღსრულების ეროვნულ ბიუროში დასაქმებულ პირს, რომელიც განსაზღვრული კატეგორიის საქმეთა აღსრულებას უზრუნველყოფს, ინსპექტორი ეწოდება. აღსრულების

ეროვნული ბიურო, ინსპექტორის მეშვეობით, განახორციელებს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საწინააღმდეგოდ წარმოებული საქმეების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საიდუმლოების გრიფის მქონე საქმეების აღსრულებას, ასევე განკარგავს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული გირაოს და განრიდების ფარგლებში არსებულ თანხას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ზემოაღნიშნული კატეგორიის საქმეების აღსრულებისას ინსპექტორი სარგებლობს აღმასრულებლის ყველა უფლებამოსილებით და მასვე ეკისრება აღმასრულებლის ყველა მოვალეობა, გარდა მის საქმიანობასთან დაკავშირებული სპეციფიკისა.

აღსრულების პოლიცია

აღსრულების პოლიციის დეპარტამენტი აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურული ერთეულია. სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას აღსრულების პოლიციელი არის ხელისუფლების წარმომადგენელი და სამსახურებრივ მოვალეობასთან დაკავშირებული მისი კანონიერი მოთხოვნის შესრულება სავალდებულოა.

2011 წლიდან აღსრულების პოლიცია, აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის მიერ დელეგირებული უფლებამოსილების საფუძველზე, ახორციელებს სხვისი მფლობელობიდან/სარგებლობიდან უძრავი ქონების გამოთხოვის, ასევე მშენებლობის შეჩერების, უნებართვო დემონტაჟის შეჩერების, საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივ დემონტაჟის და მშენებარე შენობა-ნაგებობების მშენებლობის მთლიანად ან ნაწილობრივ შეჩერების და დემონტაჟის შესახებ სააღსრულებო საქმეების აღსრულებას.

კოდექსის პროექტით ზემომითითებული სააღსრულებო საქმეების აღსრულებაზე უფლებამოსილ სუბიექტად განისაზღვრება აღსრულების პოლიცია. მოცემული კატეგორიის საქმეების აღსრულებისას აღსრულების პოლიციელი ისარგებლებს აღმასრულებლის ყველა უფლებამოსილებით და მასვე დაეკისრება აღმასრულებლის ყველა მოვალეობა, გარდა ამავე კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა და აღსრულების პოლიციელის საქმიანობასთან დაკავშირებული სპეციფიკისა.

სხვა საკითხები

კოდექსის პროექტის მიხედვით, სააღსრულებო წარმოების დაწყების შესახებ განცხადება რეგისტრირდება კრედიტორის მიერ აღსრულების ეროვნულ ბიუროში, აღმასრულებელთა პალატაში, ან ავტორიზებულ მომხმარებელთან (არსებობის შემთხვევაში), აღმასრულებელთან განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების წარდგენის, ასევე წინასწარი საფასურის/საფასურის აღსრულების ეროვნული ბიუროს საბანკო ანგარიშზე ასახვის მომენტიდან.

გადახდისუნარობის საქმის წარმოების დაწყებისას, კოდექსის პროექტით შესაძლებელია სააღსრულებო წარმოების პროცესში მოვალის ქონებაზე დადებული ყადაღის გაუქმება მოვალის ფუნქციონირებისა და რეაბილიტაციის მიზნებისათვის.

რაც შეეხება აუქციონის შეწყვეტას, ამგვარი რამ შესაძლებელი იქნება მისი გამოცხადების და შემდგომ ეტაპებზეც. კერძოდ, აუქციონი შეწყდება:

- თუ მოვალე აუქციონის დასრულებამდე სრულად დაფარავს არსებულ ვალდებულებას;

- თუ აუქციონის მიმდინარეობისას გამოვლინდება ისეთი ფაქტობრივი გარემოება, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს აუქციონის შედეგზე და რომელიც საჭიროებს საკითხის დამატებით შესწავლასა და გამოკვლევას;

- აუქციონის გამოცხადების პირობებში ან აუქციონის მიმდინარეობისას ისეთი აშკარა ტექნიკური შეცდომის არსებობისას, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს აუქციონის შედეგზე; ასევე, საქმის აღსრულების, აღსრულების შეწყვეტის, კრედიტორის მიერ სააღსრულებო ფურცლის დაბრუნების ან/და აღსრულების შეჩერების შემთხვევაში. კოდექსის პროექტის მიხედვით, მოვალეთა რეესტრიდან პირის ამორიცხვა პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებებზე შესაძლებელი გახდება განსაზღვრული პერიოდისათვის დავალიანების არარსებობის შემთხვევაში.

აღსრულების ეროვნული ბიურო პროექტით დადგენილი წესით დაარეგისტრირებს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში გაფორმებულ სასყიდლიან ხელშეკრულებას და გამოსცემს შეუსრულებელი ფულადი ვალდებულების გადახდევინების თაობაზე ბრძანებას რეგისტრირებული ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილ შეუსრულებელ ფულად ვალდებულებასთან დაკავშირებით. აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილი იქნება, გამარტივებული წარმოების ფარგლებში აპლიკანტის მიმართვის საფუძველზე განახორციელოს რესპოდენტის ქონების მოძიების მომსახურება. ასეთი მომსახურების საფასური განისაზღვრება იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

იცლება სისხლის სამართლებრივი წესით დაკისრებული ჯარიმის აღსრულების წესებიც. თუ დაკისრებული ჯარიმის გადახდევინება ვერ ხერხდება, აღმასრულებელი მიმართავს სასამართლოს სასჯელის შეცვლის თხოვნით. სასამართლოსათვის მიმართვამდე აღმასრულებელი დამატებით უზრუნველყოფს მოვალის ინფორმირებას სასჯელის შეცვლის შესახებ სასამართლოსათვის მიმართვის თაობაზე. ამასთან, აღსრულება შეწყდება, თუ სისხლის სამართლის საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენით სასჯელის სახით ჯარიმის დაკისრების შემთხვევაში სააღსრულებო წარმოების დაწყებიდან გასულია 5 წელი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/2/596 გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, იცლება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების წესებიც - სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება შესაძლებელი იქნება მხოლოდ სასამართლოს მიერ, შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს,

ამ შემთხვევაში, სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს შუამდგომლობის საფუძველზე, ამდენად, თუ დგას სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების საჭიროება, ადმინისტრაციული ორგანოს მომართვით ან საკუთარი ინიციატივით აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე აღსრულების შეჩერების შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს, რომელმაც შეიძლება შეაჩეროს აღსრულება არაუმეტეს 6 თვის ვადით. პროკურორის მომართვის შემთხვევაში 6 თვიანი ვადა შეიძლება გაგრძელდეს მორიგი 1 ან მეტი 6 თვით. თუმცა, შეჩერების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 24 თვეს.

რაც შეეხება სხვა აღსასრულებელი აქტების აღსრულების შეჩერებას, განსაკუთრებულ შემთხვევებში აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე უფლებამოსილია იქნება ადმინისტრაციული ორგანოს მომართვის ან საკუთარი ინიციატივით შეწყვიტოს აუქციონი ან შეაჩეროს აღსრულება არაუმეტეს 6 თვის ვადით.

კოდექსის პროექტით ასევე განისაზღვრება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა:

- სააღსრულებო წარმოების დროს პირთა სიმრავლის შემთხვევაში საქმის წარმოებისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი;
- სააღსრულებო წარმოების მონაწილე პირების ინფორმირების წესი და პროცედურები (ამჟამად პირთა შეტყობინებისათვის გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი დებულებები, რაც პრაქტიკაში პრობლემებს წარმოშობს);
- წარმომადგენლობის ინსტიტუტი სააღსრულებო წარმოებისას, რაც ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ანალოგიით გამოიყენება დღეს მოქმედ კანონთან მიმართებით;
- სააღსრულებო ფურცლით გათვალისწინებული ორმხრივი ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში განსახორციელებელი პროცედურები, ასევე მოვალის მიერ ალტერნატიული ვალდებულების შესრულების შესაძლებლობის შემთხვევები;
- ნოვაციის სახით - სააღსრულებო შეთანხმება, რომელიც გულისხმობს ფულად მოთხოვნებთან დაკავშირებით მხარეთა უფლებამოსილებას, აღსრულების ეტაპზე, სასამართლოს გარეშე, გააფორმონ სააღსრულებო შეთანხმება;
- სააღსრულებო მედიაციის ინსტიტუტი, რომელიც დღესაც აქტიურად გამოიყენება აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ სააღსრულებო წარმოების პროცესში;
- აღმასრულებლის შემცვლელი პირის სტატუსი და უფლება-მოვალეობები;
- მოვალის სათავსში შესვლის პროცედურა ყადაღადადებული მოძრავი ქონების გამოტანის მიზნით, რაც მოქმედი კანონით ფაქტიურად რეგულირების გარეშეა დატოვებული;
- მოძრავი და უძრავი ქონების დაყადაღებისა და შეფასების მარეგულირებელი სპეციალური წესები;

- აღსრულების სპეციალური წესები ფასიან ქაღალდებზე, ინტელექტუალურ საკუთრებაზე, საჰაერო და საზღვაო ხომალდებზე ყადაღის დადებასთან, ასევე სეიფში მოთავსებულ ნივთებზე ყადაღის დადებასთან დაკავშირებით,

- აღსრულების ეროვნული ბიუროს ახალი სერვისი - ვალდებულების შესრულება დეპონირებით, ამასთან, პროექტით იმიჯნება აღსრულების ეროვნული ბიუროსა და ნოტარიუსის კომპეტენცია დეპონირებასთან დაკავშირებით. ნოტარიუსს რჩება ფულისა და ფასიანი ქაღალდების დეპონირების უფლება, ხოლო აღსრულების ეროვნული ბიურო განახორციელებს ნივთების დეპონირებას;

ახალი სერვისები - გამარტივებული წარმოება ცალკეული ხელშეკრულების რეგისტრაციისა და მისგან გამომდინარე შეუსრულებელ ფულად ვალდებულებაზე ბრძანების გამოცემასთან დაკავშირებით, ასევე საპროცესო მოქმედების შესრულება 24 საათიან რეჟიმში.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში)

აღნიშნული ქვეპუნქტი არ გამოიყენება წარმოდგენილ კანონპროექტთან მიმართებაში (კანონპროექტი არ არის ინიცირებული საქართველოს მთავრობის მიერ).

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება

კანონპროექტის ძირითადი ნაწილი 2021 წლის 1 ოქტომბრიდან ამოქმედდება. შესაბამისი პერიოდი კოდექსის მიღებიდან მის ამოქმედებამდე გამოყენებული იქნება აღსრულების ახალ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით შესაბამისი სტრუქტურული და ორგანიზაციული ღონისძიებების განსახორციელებლად, აღმასრულებელთა ეტაპობრივი გადამზადების ჩათვლით, აგრეთვე კანონქვემდებარე ნორმატიული ბაზის წინამდებარე კოდექსთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას)

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არ არის მოთხოვნილი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ხარჯების დამატებით გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან; კოდექსის მიღებით განპირობებული საჭირო თანხების მობილიზება მოხდება სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს საკუთარი სახსრების ფარგლებში.

კანონპროექტით გათვალისწინებული სხვა ორგანოები ამ კანონპროექტით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს (უფლებამოსილებების ფარგლების ცვლილების მიუხედავად) განხორციელებენ საკუთარი ასიგნებების ფარგლებში და არ საჭიროებენ დამატებითი ხარჯების გამოყოფას. ანალოგიურად, დამატებითი ხარჯების გამოყოფას არ გამოიწვევს ზემოაღნიშნულ ორგანოებში დასაქმებულ პირთა უფლებამოსილებებში განხორციელებული ცვლილებები.

კანონპროექტით გათვალისწინებულია აღმასრულებელთა პალატის შექმნა, რომლის ფინანსური უზრუნველყოფა განხორციელდება საწევრო შენატანებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემოსავლებიდან. აღნიშნული არ საჭიროებ დამატებითი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

კანონპროექტით გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო გამოცდა/სწავლებას უზრუნველყოფს სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი. დაფინანსების წყაროა სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის ბიუჯეტი/საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობისათვის მიღებული საფასური. კონკურსის ჩატარებას უზრუნველყოფს აღსრულების ეროვნული ბიურო. დაფინანსების წყაროა აღსრულების ეროვნული ბიუროს ბიუჯეტი.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიხედვით, ადმინისტრაციული სახდელის სახით დაკისრებული ჯარიმის აღსრულების ხანდაზმულობის ვადა 5 წლიდან მცირდება 2 წლამდე. აღნიშნულს გავლენა ექნება სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, რადგან აღარ მოხდება ჯარიმების ჩარიცხვა აღსრულების წარმოების შეწყვეტის გამო. გავლენის მოცულობა დამოკიდებული იქნება შეწყვეტილ საქმეთა რაოდენობასა ად ამ საქმეებით გათვალისწინებული ჯარიმების ოდენობაზე.

მოქმედი კანონმდებლობით, სისხლის სამართლის საქმეზე დანიშნული ჯარიმის აღსრულების ხანდაზმულობის ვადა დამოკიდებულია ჩადენილი დანაშაულის კატეგორიაზე და მერყეობს 2-დან 15 წლამდე. კანონპროექტის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადა სასჯელის ამ სახისთვის განისაზღვრა 5 წლით. აღნიშნულს გავლენა ექნება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. გავლენის მოცულობა დამოკიდებული იქნება მოქმედი კანონმდებლობითა და კანონპროექტით გათვალისწინებულ ხანდაზმულობის ვადებს შორის სხვაობასა და მოსამართლის მიერ სასჯელის სახით დანიშვნის სიხშირესა და მის ოდენობაზე.

რაც შეეხება ცვლილებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად საჭირო ადამიანურ რესურსს, უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად აღსრულების პოლიციის სამმართველოში არის 75 სამტატო ერთეული, აქედან ვაკანტურია 37 პოზიცია. რეფორმის შემდგომ იგეგმება 25 სამტატო ერთეულით გაზრდა, ჯამში იქნება აღმასრულებელ პოლიციელთა 100 სამტატო ერთეული. აღსრულების პოლიციელთა

სახელფასო სარგოს გაცემის წყარო კვლავაც იქნება აღსრულების ეროვნული ბიუროს ბიუჯეტი. სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე გავლენის მოცულობა დამოკიდებული იქნება აღსრულების პოლიციელთა რაოდენობის ცვლილების პროპორციულად, მათი ხელფასებიდან საშემოსავლო გადასახადის სახით გადარიცხული თანხების ოდენობაზე.

კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს სსიპ - საქართველოს აღმასრულებელთა პალატის შექმნას. აღნიშნულ პალატას კანონპროექტის მიხედვით ხელმძღვანელობს 7 წევრისაგან შემდგარი გამგეობა, რომელთა შრომის ანაზღაურება მოხდება პალატის ბიუჯეტიდან. აღნიშნულს გავლენა ექნება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე ხელფასებიდან საშემოსავლო გადასახადის სახით გადარიცხული თანხების ოდენობით.

კანონპროექტი ითვალისწინებს, აგრეთვე, აღმასრულებლის უფლებამოსილებას აიყვანოს თანაშემწე. აღნიშნულს გავლენა ექნება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე ხელფასებიდან საშემოსავლო გადასახადის სახით გადარიცხული თანხების ოდენობით.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ხარჯების დამატებით გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან; კოდექსის მიღებით განპირობებული საჭირო თანხების მობილიზება მოხდება სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს საკუთარი სახსრების ფარგლებში.

კანონპროექტით გათვალისწინებული სხვა ორგანოები ამ კანონპროექტით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს (უფლებამოსილებების ფარგლების ცვლილების მიუხედავად) განახორციელებენ საკუთარი ასიგნებების ფარგლებში და არ საჭიროებენ დამატებითი ხარჯების გამოყოფას. ანალოგიურად, დამატებითი ხარჯების გამოყოფას არ გამოიწვევს ზემოაღნიშნულ ორგანოებში დასაქმებულ პირთა უფლებამოსილებებში განხორციელებული ცვლილებები.

კანონპროექტით გათვალისწინებულია აღმასრულებელთა პალატის შექმნა, რომლის ფინანსური უზრუნველყოფა განხორციელდება საწევრო შენატანებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემოსავლებიდან. აღნიშნული არ საჭიროებ დამატებითი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

კანონპროექტით გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო გამოცდა/სწავლებას უზრუნველყოფს სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი. დაფინანსების წყაროა სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის ბიუჯეტი/საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობისათვის მიღებული საფასური. კონკურსის ჩატარებას უზრუნველყოფს აღსრულების ეროვნული ბიურო. დაფინანსების წყაროა აღსრულების ეროვნული ბიუროს ბიუჯეტი.

კანონპროექტით, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას აღსრულების პოლიციელის დალუპვის შემთხვევაში მის ოჯახს (მემკვიდრეს) სახელმწიფო ბიუჯეტიდან

ემლევა ერთჯერადი ფულადი დახმარება 15 000 ლარის ოდენობით, ნაცვლად არსებული 10 000 ლარისა. აგრეთვე, ახლებურად არის დარეგულირებული ფულადი დახმარების საკითხი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობის სხვადასხვა ხარისხის დაზიანების მიღების შემთხვევაში. აღნიშნული ცვლილებები გავლენას იქონიებს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე და შესაბამის ფინანსურ გავლენას იქონიებს კომპენსაციის მიმღებ პირებზე. ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე გავლენის ოდენობა დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენი პირი მიიღებს კომპენსაციას და რა საფუძვლით.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით

კანონპროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა

კანონპროექტით უქმდება „აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებლისა“ და „კერძო აღმასრულებლის“ ინსტიტუტები და ყალიბდება აღსრულების სრულიად ახალი სისტემა - აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან იქმნება აღმასრულებელთა წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - აღმასრულებელთა პალატა, რომლის შემადგენლობაში შევა ყველა აღმასრულებელი. აღმასრულებელი თავის სამოქმედო ტერიტორიაზე უზრუნველყოფს ნებისმიერი კატეგორიის საქმის აღსრულებას, გარდა ინსპექტორის და აღსრულების პოლიციელის მიერ აღსასრულებელი საქმეებისა. ამდენად, აღსრულების სისტემის ახალი წესით ორგანიზებამ შესაძლოა, გავლენა მოახდინოს აღმასრულებელთა ფინანსურ მდგომარეობაზე.

გარდა ამისა, სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიურო შესაბამისი საფასურის სანაცვლოდ სსიპ - აღმასრულებელთა პალატას/აღმასრულებელს მიაწვდის ყველა იმ სერვისს, რომელიც აუცილებელია სააღსრულებო საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებისათვის, რასაც გავლენა ექნება ბიუროს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე ზრდის მიმართულებით.

კანონპროექტით ასევე განისაზღვრება აღმასრულებლის მიერ აღმასრულებელთა პალატაში საწევრო შენატანის გადახდის ვალდებულება, აგრეთვე აღმასრულებლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობისათვის საფასური, რომელთა ოდენობას და გადახდის წესს დაადგენს იუსტიციის მინისტრი. რაც შეეხება აღსრულების საფასურს, მისი ოდენობა, გადახდის წესი და პირობები იუსტიციის მინისტრის ბრძანებით განისაზღვრება.

კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილების თანახმად, თუ აღსასრულებელი მოთხოვნის ოდენობა არ აღემატება 10 000 ლარს, სარეალიზაციო ქონების საბაზრო ღირებულება არანაკლებ ათჯერ აღემატება აღსასრულებელი მოთხოვნის ოდენობას და მოვალის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით მოსალოდნელია აღსასრულებელი მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება განწილვადების შემთხვევაში, აღმასრულებელი უფლებამოსილია მოვალის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, კრედიტორის თანხმობის მიუხედავად, მიიღოს გადაწყვეტილება განწილვადების შესახებ. შესაბამისად, აღნიშნულს გავლენა ექნება მოვალისა და კრედიტორის ფინანსურ მდგომარეობაზე, რისი ოდენობაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დამოკიდებული იქნება განწილვადებული მოთხოვნის ოდენობასა და განწილვადების ვადაზე.

კანონპროექტის მიხედვით, ადმინისტრაციული სახდელის სახით დაკისრებული ჯარიმის აღსრულების ხანდაზმულობის ვადა 5 წლიდან მცირდება 2 წლამდე. აღნიშნულს გავლენა ექნება იმ პირებზე, რომლებსაც ჯარიმის გადახდა აღარ მოუწევთ 2 წლიანი ვადის გასვლის შემდეგ. აგრეთვე, აღმასრულებლებს შეუმცირდებათ ხარჯები, ვინაიდან მოაკლდებათ აღსასრულებელი საქმეების რაოდენობა.

მოქმედი კანონმდებლობით, სისხლის სამართლის საქმეზე დანიშნული ჯარიმის აღსრულების ხანდაზმულობის ვადა დამოკიდებულია ჩადენილი დანაშაულის კატეგორიაზე და მერყეობს 2-დან 15 წლამდე. კანონპროექტის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადა სასჯელის ამ სახისთვის განისაზღვრა 5 წლით. აღნიშნულს გავლენა ექნება მსჯავრდებულ პირებზე. გავლენის მოცულობა დამოკიდებული იქნება მოქმედი კანონმდებლობითა და კანონპროექტით გათვალისწინებულ ხანდაზმულობის ვადებს შორის სხვაობასა და მოსამართლის მიერ სასჯელის სახით დანიშვნის სიხშირესა და მის ოდენობაზე. აღნიშნულს ასევე გავლენა ექნება აღმასრულებლებზე, რომლებსაც შეეცვლება ხარჯები, ვინაიდან შეიცვლება აღსასრულებელი საქმეების რაოდენობა. გავლენის მოცულობა დამოკიდებული იქნება მოქმედი კანონმდებლობითა და კანონპროექტით გათვალისწინებულ ხანდაზმულობის ვადებს შორის სხვაობასა და მოსამართლის მიერ სასჯელის სახით დანიშვნის სიხშირესა და მის ოდენობაზე.

მოქმედი კანონით, ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც თანხის გადახდევინების შესახებ სააღსრულებო წარმოების დაწყებიდან 2 წლის განმავლობაში ვერ დაკმაყოფილდა კრედიტორის მოთხოვნა, შესაძლებელია სააღსრულებო წარმოების 1 წლით გაგრძელება. კანონის მოქმედი რედაქციით აღნიშნული მომსახურების საფასური შეადგენს 200 ლარს, კანონპროექტით კი საფასურის განსაზღვრის უფლებამოსილება ენიჭება იუსტიციის მინისტრს. იუსტიციის მინისტრის მიერ არსებულისგან განსხვავებული საფასურის დადგენის შემთხვევაში, აღნიშნულს გავლენა ექნება კრედიტორზე. აღნიშნულს აგრეთვე შეიძლება ჰქონდეს გავლენა აღმასრულებლებზეც. გავლენის მოცულობა დამოკიდებული იქნება სააღსრულებო წარმოების გაგრძელების მოთხოვნების რაოდენობაზე.

ცვილება ახლებურად არეგულირებს სააღსრულებო წარმოების შეჩერების საფუძვლების საკითხს, რასაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს კრედიტორსა და მოვალეზე. გავლენის მოცულობა დამოკიდებული იქნება იმ საქმეების რაოდენობაზე, რომლებზეც ახალი რეგულაციის მიხედვით გადაწყდება აღსრულების შეჩერების საკითხი. აღნიშნულ ცვლილებას შეიძლება გავლენა ჰქონდეს ასევე აღმასრულებლებზეც, რომლებსაც შეეცვლებათ ხარჯები. გავლენის მოცულობა დამოკიდებული იქნება შეჩერებული სააღსრულებო საქმეების რაოდენობასა და შეჩერების ვადაზე.

კანონპროექტის თანახმად, აღსრულების შეჩერების პერიოდში კრედიტორის თანხმობით დასაშვები იქნება ისეთი სააღსრულებო მოქმედების განხორციელება, რომელიც ამსუბუქებს მოვალის მდგომარეობას. აღნიშნულს დადებითი გავლენა ექნება მოვალის მდგომარეობაზე. გავლენის მოცულობა დამოკიდებული იქნება განხორციელებული მოქმედებების სახესა და ინტენსიობაზე.

კანონპროექტით, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას აღსრულების პოლიციელის დალუპვის შემთხვევაში მის ოჯახს (მემკვიდრეს) სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეძლევა ერთჯერადი ფულადი დახმარება 15 000 ლარის ოდენობით, ნაცვლად არსებული 10 000 ლარისა. აგრეთვე, ახლებურად არის დარეგულირებული ფულადი დახმარების საკითხი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობის სხვადასხვა ხარისხის დაზიანების მიღების შემთხვევაში. აღნიშნული ცვლილებები შესაბამის ფინანსურ გავლენას იქონიებს კომპენსაციის მიმღებ პირებზე.

კანონპროექტით გათვალისწინებულია აღმასრულებელთა პალატის შექმნა. პალატას შეიძლება სასყიდლიან ან უსასყიდლო სარგებლობაში გადაეცეს აღსრულების ეროვნული ბიუროს ბალანსზე არსებული მოძრავი და უძრავი ქონება. შესაბამისად, აღნიშნული ფინანსურ გავლენას იქონიებს აღსრულების ეროვნულ ბიუროზე.

აღმასრულებელთა პალატის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება საწევრო შენატანებით, რასაც მოჰყვება შესაბამისი ფინანსური გავლენა პალატაში გაწევრიანებული აღმასრულებლების მიმართ. გავლენის მოცულობა დამოკიდებული იქნება საწევროს ოდენობაზე, რომელიც განისაზღვრება თავად პალატის მიერ. საწევროების შეტანას თავის მხრივ გავლენა ექნება პალატის ფინანსურ მდგომარეობაზე. პალატის საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ თანხებზე დარიცხული პროცენტი ეკუთვნის პალატას.

კანონპროექტით, მაღალმთიან დასახლებაში დანიშნულ აღმასრულებელს სააღსრულებო საქმიანობის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში სათანადო ფინანსურ დახმარებას უწევს აღმასრულებელთა პალატა. აღნიშნულს დადებითი გავლენა ექნება ასეთ დასახლებებში დასაქმებულ აღმასრულებელთა ფინანსურ მდგომარეობაზე. გავლენის მოცულობა დამოკიდებული იქნება პალატის მიერ დამტკიცებული ფინანსური დახმარების ოდენობაზე.

კანონპროექტით, აღმასრულებელთა პალატას ხელმძღვანელობს 7 წევრისაგან შემდგარი გამგეობა. გამგეობის წევრთა საზღაურის გადახდის პირობებს განსაზღვრავს იუსტიციის მინისტრი. მათი შრომის ანაზღაურება მოხდება პალატის ბიუჯეტიდან. შესაბამისად, აღნიშნულს ფინანსური გავლენა ექნება როგორც გამგეობის წევრების, ისე აღსრულების პალატის ფინანსურ მდგომარეობაზე. გავლენის მოცულობა დამოკიდებული იქნება იუსტიციის მინისტრის მიერ განსაზღვრული თანხის რაოდენობაზე.

კანონპროექტი ითვალისწინებს აღმასრულებლის უფლებამოსილებას აიყვანოს თანაშემწე, რასაც ექნება ფინანსური გავლენა ამ უკანასკნელზე მისი ანაზღაურების ოდენობით. კანონპროექტის თანახმად, აღმასრულებლის შემცველი პირი შრომის ანაზღაურებას იღებს იმ აღმასრულებლისგან, რომელსაც იგი ცვლის. შრომის ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავს აღმასრულებელი. აღნიშნულს გავლენა ექნება როგორც ჩამნაცვლებელ, ისე ჩანაცვლებული აღმასრულებლის ფინანსურ მდგომარეობაზე. გავლენის მოცულობა დამოკიდებული იქნება ჩანაცვლების ხანგრძლივობის შესაბამისად ანაზღაურების ოდენობაზე.

კანონპროექტის თანახმად, სააღსრულებო მიზნებისთვის, აღმასრულებელი, აგრეთვე აღმასრულებელთა პალატა, შესაბამისი საფასურის გადახდის სანაცვლოდ, სარგებლობს აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურებებით. საფასურის ოდენობა და გადახდის წესი, განისაზღვრება იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. აღნიშნულს გავლენა ექნება როგორც აღმასრულებლის, ისე სააღსრულებო ბიუროს ფინანსურ მდგომარეობაზე. გავლენის მოცულობა დამოკიდებული იქნება მომსახურების სახესა და ღირებულებაზე.

კანონპროექტით აღსრულების ეროვნული ბიურო აღიჭურვება დამატებითი სერვისების გაწევის უფლებამოსილებით. აღნიშნული სერვისების საფასურის ოდენობა განისაზღვრება იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. დასახელებული სერვისებიდან მოსალოდნელი შემოსავლებისა და ხარჯების ანალიზის საფუძველზე სავარაუდოა, რომ მათი დამატება გამოიწვევს აღსრულების ეროვნული ბიუროს შემოსავლების ზრდას და შესაბამისად, დადებითად აისახება მის ფინანსურ მდგომარეობაზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი

კანონპროექტი არ ითვალისწინებს რაიმე სახის გადასახადის ან მოსაკრებლის დადგენას. კანონპროექტის თანახმად, აღსრულების საფასურის, მათ შორის, დოკუმენტის აღსასრულებლად წარდგენისას გადასახდელი წინასწარი საფასურის, ასევე მოვალის მიერ შესასრულებელი ფულადი ვალდებულების ნებაყოფლობით ვადაში და ვადის გასვლის შემდეგ შესრულებისას და ცალკეული კატეგორების სააღსრულებო საქმეების აღსრულების საფასურის ოდენობა, გადახდის წესი და პირობები იუსტიციის მინისტრის ბრძანებით განისაზღვრება.

გარდა ამისა, სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიურო შესაბამისი საფასურის სანაცვლოდ სსიპ - აღმასრულებელთა პალატას/აღმასრულებელს მიაწვდის ყველა იმ სერვისს, რომელიც აუცილებელია სააღსრულებო საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებისათვის.

კანონპროექტით ასევე განისაზღვრება აღმასრულებლის მიერ აღმასრულებელთა პალატაში საწევრო შენატანის გადახდის ვალდებულება, აგრეთვე აღმასრულებლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობისათვის საფასური, რომელთა ოდენობას და გადახდის წესს დაადგენს იუსტიციის მინისტრი.

ბ1) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება

კანონპროექტი გავლენას არ ახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებზე.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება საქართველოს მიერ დადებულ ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონპროექტი შემუშავებულია იუსტიციის სამინისტროსა და სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ, კერძო სამართლის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ეგიდით, ევროკავშირის წარმომადგენლობის, ასევე გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით.

კანონპროექტის შემუშავებიდან მისი საბოლოო სახით ჩამოყალიბებამდე კოდექსის პროექტი რამდენჯერმე იქნა განხილული კერძო სამართლის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში, რის შედეგად მიღებული შენიშვნებისა და მოსაზრებების დიდი ნაწილიც წინამდებარე ვერსიაში გათვალისწინებულია. გარდა ამისა, კანონპროექტის სრულყოფის პროცესში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა GIZ-ის მიერ მოწვეული საერთაშორისო ექსპერტის, ბატონი იოს უიტდეჰაგის მიერ მოწოდებულმა რეკომენდაციებმა, რომელმაც კანონპროექტის სამართლებრივი ექსპერტიზა და ევროპულ ნორმებთან შესაბამისობის ანალიზი განახორციელა.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში

ასეთი მიმოხილვა ერთიანი დოკუმენტის სახით არ მომზადებულა. თუმცა, კანონპროექტის შემუშავების პროცესში გაანალიზდა ევროპული ქვეყნების - ბელგიის, საფრანგეთის, ნიდერლანდების, ბულგარეთის, აგრეთვე ბალტიისპირეთის ქვეყნების კანონმდებლობა, რის შესახებ ინფორმაციაც მოცემულია განმარტებითი ბარათის „ა.ა“ ქვეპუნქტში.

ე) კანონპროექტის ავტორი

საქართველოს პარლამენტის წევრები: მიხეილ სარჯველაძე, თეა წულუკიანი

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს პარლამენტის წევრები: მიხეილ სარჯველაძე, თეა წულუკიანი, ისკო დასენი, ბექა ლილუაშვილი, ალუდა ღუდუშაური, ანა ბუჩუკური, დავით სონღულაშვილი, მიხეილ დაუშვილი, ანრი ოხანაშვილი, დავით მათიკაშვილი, ელისო ბოლქვაძე, ნინო წილოსანი